

ძალაშია ხელმოწერის დღიდან

შეთანხმება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და უკრაინის მთავრობა, შემდგომში “მონაწილე მხარეებად” წოდებულნი, მხედველობაში იღებენ ხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, ხელმძღვანელობენ ორივე ქვეყანას შორის, ასევე მათი ტერიტორიების გავლით, საავტომობილო მიმოსვლის შემდგომი განვითარების სურვილით,

შეთანხმდნენ წინამდებარე შეთანხმების დადებაზე.

საქართველოს რესპუბლიკის მხრიდან კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს გრანსპორტის სამინისტრო.

უკრაინის მხრიდან კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს გრანსპორტის სამინისტრო.

მუხლი 1

1. წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად განხორციელდება მგზავრთა რეგულარული და არარეგულარული გადაყვანა ავტობუსებით, გამგზავრება მსუბუქი ავტომობილებით და ტვირთის გადაზიდვები ავტოსაგრანსპორტო საშუალებებით ორივე ქვეყანას შორის და მათი ტერიტორიების გრაზიტით გავლით მესამე ქვეყნებში გადაზიდვების მიერ, რომლებიც დაიშვებიან ამ გადაზიდვების განხორციელებისათვის თავიანთ ქვეყნის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

2. წინამდებარე შეთანხმება არ ეხება სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებებიდან გამომდინარე მონაწილე მხარეების უფლებებსა და ვალდებულებას.

I. განსაზღვრებანი

მუხლი 2

ტერმინი “გადაზიდვა” ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლებამოსილს გადაიყვანოს მგზავრები ან გადაზიდოს ტვირთი მონაწილე მხარეების კანონების, წესებისა და დადგენილებების გათვალისწინებით.

ტერმინი “საგრანსპორტო საშუალება” ნიშნავს:

ა) ტვირთების გადაზიდვის დროს – სატვირთო ავტომობილი, სატვირთო ავტომობილი მისაბმელით, საავტომობილო საწვევარი ან საავტომობილო საწვევარი ნახევარ მისაბმელით;

ბ. მგზავრების გადაყვანის დროს – ავტობუსი, ანუ ავტოსაგრანსპორტო საშუალება, რომელიც განსაზღვრულია მგზავრების გადასაყვანად და რომელსაც გააჩნიათ არა უმცირეს 8 დასაჯდომი ადგილისა, მძღოლის ადგილის ჩათვლელად და აგრეთვე მგზავრების ტვირთის გადასაგანად მისაბმელი;

ტერმინი “ნებართვა” ნიშნავს ერთი მონაწილე მხარის მიერ გაცემულ დოკუმენტს ავტოსაგრანსპორტო საშუალებაზე, რეგისტრირებულს მეორე მონაწილე მხარის მიერ, რომელიც ნებას რთავს ერთი მონაწილე მხარის საგრანსპორტო საშუალების შესვლას, გამოსვლას და ტრანზიტით გავლას მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე. ეს ტერმინი მოიცავს ამ შეთანხმებისათვის შემუშავებულ სხვა “ნებართვებსაც”.

ტერმინი “კვოტა” ნიშნავს ნებართვათა რაოდენობას გაცემულს ყოველწლიურად თითოეული მონაწილე მხარის კომპეტენტური პირების მიერ.

ტერმინი “მგზავრების რეგულარული გადაყვანა” ნიშნავს მგზავრების გადაყვანას, რომლებსაც განახორციელებენ მონაწილე მხარეების საგრანსპორტო საშუალებები წინასწარ შეთანხმებული სვლაგემის, ტარიფებისა და განრიგის გათვალისწინებით.

ტერმინი “მგზავრების არარეგულარული გადაყვანა” ნიშნავს ყველა სხვა გადაზიდვებს.

ტერმინი “ტრანზიტული გადაზიდვა” ნიშნავს მგზავრების გადაყვანას და ტვირთის გადაზიდვას ერთ-ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიის გავლით ორ პუნქტს შორის, რომელიც არ იმყოფება მხარეების ტერიტორიაზე.

ტერმინი “სანიტარული კონტროლი” ნიშნავს სანიტარულ, ვეტერინარულ, ასევე ფიტოსანიტარულ კონტროლს.

II. მგზავრების გადაყვანა

მუხლი 3

1. ავტობუსებით მგზავრთა რეგულარული გადაყვანა ხორციელდება მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოების ურთიერთშეთანხმებით.

2. ავტობუსებით მგზავრთა რეგულარული გადაზიდვები უნდა განხორციელდეს მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოების ურთიერთშეთანხმებით გაცემული ნებართვების საფუძველზე. თითოეული მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანო გასცემს ნებართვას მათ ტერიტორიაზე გამავალი მარშრუტის მონაკვეთზე.

3. მგზავრების გადაყვანის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ წინადადებებს მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოები წინასწარ წარუდგენენ ერთმანეთს, ეს წინადადებები უნდა შეიცავდეს გადაზიდვის დასახელების, სვლაგემის, მოძრაობის განრიგის, ტარიფების, გასაჩერებელ პუნქტებს, სადაც გადაზიდვა განახორციელებს მგზავრების ჩასმას და გადმოსმას, და აგრეთვე მოსალოდნელი გადაყვანების პერიოდულობისა და რეგულარობის მონაცემებს. მონაწილე მხარეების კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ გამოითხოვონ დამატებითი მონაცემები სავარაუდო გადაზიდვების შესახებ.

მუხლი 4

1. ორ ქვეყანას შორის ან ტრანზიტით მათი ტერიტორიების გავლით ავტობუსებით მგზავრთა არარეგულარული გადაყვანის, რომლებიც

გათავალისწინებულია წინამდებარე შეთანხმების მე-5 მუხლით, განხორციელებისათვის საჭიროა მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ნებართვა.

2. თხოვნას ნებართვის გაცემაზე, რათა განხორციელდეს წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მგზავრთა არარეგულარული გადაყვანა, გადამზიდავი უგზავნის თავისი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც თავის მხრივ მას გადაუგზავნის მეორე მონაწილე ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს,

3. ავტობუსით მგავრთა თითოეული არარეგულარული გადაყვანისათვის საჭიროა გაიცეს ცალკე ნებართვა, რომელიც აძლევს უფლებას ერთი რეისის შესრულებაზე უკან დაბრუნებით, თუ სხვა არ არის გათვალისწინებული თვით ნებართვაში. ნებართვა უნდა შეიცავდეს მონაცემებს გადაყვანის ხასიათისა და დანიშნულების ქვეყანაში ავტობუსის ყოფნის ხანგრძლივობის შესახებ.

მუხლი 5

1. ნებართვა არ არის საჭირო:

ა) ავტობუსით მგზავრთა არარეგულარული გადაზიდვების შესრულებისას, თუ ერთი და იგივე შემადგენლობის ჯგუფი გადაიყვანება ერთი და იგივე ავტობუსით მთელი გადაზიდვის განმავლობაში, რომელიც იწყება და მთავრდება იმ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, სადაც რეგისტრირებულია ავტობუსი;

ბ) თუ არარეგულარული გადაზიდვების შესრულების დროს მგზავრთა ჯგუფი გადაიყვანება მარშრუტზე, რომელიც იწყება იმ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, სადაც რეგისტრირებულია ავტობუსი, და მთავრდება მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე იმ პირობით, თუ ავტობუსი ბრუნდება ცარიელი;

გ. თუ არარეგულარული გადაზიდვების შესრულებისას ავტობუსი ცარიელი იგზავნება ერთი მონაწილე მხარის მიერ მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, საიდანაც გადაიყვანება მგზავრთა ჯგუფი ავტობუსის რეგისტრაციის ქვეყანაში და სადაც აღრე გადაყვანილი იყო შემოადნიშნული ჯგუფი იმავე გადამზიდავის მიერ;

დ) გაუმართავი ავტობუსის სხვა ავტობუსით შეცვლისას.

2. ნებართვა არ არის საჭირო მსუბუქი ავტომობილით მოგზაურობისას.

3. წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული გადაზიდვების შესრულებისას ავტობუსის მძღოლმა უნდა იქონიოს მგზავრთა სია.

III. გვირთის გადაზიდვები

მუხლი 6

1. მონაწილე მხარეებს შორის ან გრანზიტით მათი ტერიტორიების გავლით მესამე ქვეყნებში გვირთის გადაზიდვები, მოცემული შეთანხმების მე-7 მუხლში გათვალისწინებული გადაზიდვების გარდა, ხორციელდება მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე საგვირთო ავტომობილებით მისაბმელებითა ან ნახევარ მისაბმელებით, ან მათ გარეშე.

2. გვირთის თითოეულ გადაზიდვაზე, რომელიც ხორციელდება საგვირთო ავტომობილით მისაბმელით ან ნახევარ მისაბმელით, ან მათ გარეშე, უნდა გაიცეს ცალკე ნებართვა, რომელიც უფლებას აძლევს ერთი რეისის შესრულებაზე უკან დაბრუნებით, თუ სხვა არ არის გათვალისწინებული თვით ნებართვაში.

მუხლი 7

1. ნებართვა არ არის საჭირო შემდეგი გადაზიდვების შესრულებისას:
 - ა) გადასახელების დროს მოძრავი ქონების;
 - ბ) ბაზრობებისა და გამოფენებისათვის გამომწერი ექსპონატების, მოწყობილობებისა და მასალების;
 - გ) სპორტული ღონისძიებების ჩატარებისათვის განკუთვნილი საგრანსპორტო საშუალებების, ცხოველების, ასევე სხვადასხვა სახის ინვენტარისა და ქონების;
 - დ) თეატრალური დეკორაციებისა და რეკვიზიტების, მუსიკალური ინსტრუმენტების, კინოგადაღებებისათვის, რადიო_ და ტელეგადაცემებისათვის მოწყობილობებისა და ნივთების;
 - ე) მიცვალებულის ან მისი ნეშტის;
 - ვ) ჰუმანიტარული დახმარების, ასევე სტიქიური უბედურებების, ავარიებისა და კატასტროფების დროს სასწრაფო დახმარებისათვის საჭირო გზავნილების;
 - ზ) საგვითო ავტომობილებით, რომელთა მთლიანი მასა, მისაბმელების ჩათვლით, არ აღემატება 6 ტონას, ხოლო მისი გვირგვინი _ 3,5 ტონას;
 - თ) გაუმართავი ან დაზიანებული ავტოსაგრანსპორტო საშუალებების.

2. ნებართვა არ არის საჭირო საგრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც მიემართებიან ტექნიკური დახმარების აღმოსაჩენად.

3. წინამდებარე მუხლის 1-ელი პუნქტის ბ), გ) და დ) ქვეპუნქტებში გათვალისწინებული გამონაკლისები მოქმედებენ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც გვირგვინი ექვემდებარება დაბრუნებას ავტოსაგრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ქვეყანაში ან თუ გვირგვინი გრანზიტით გადაზიდული იქნება მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე.

მუხლი 8

1. თუ იმ ავტოსაგრანსპორტო საშუალების გაბარიტები და წონა, რომელიც მიემართება გვირგვინის გარეშე ან გვირგვინით, აღემატება მეორე მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე დადგენილ ნორმებს, აგრეთვე სახიფათო გვირგვინის გადაზიდვისას, გადაზიდვა უნდა მიიღოს მეორე მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოების სპეციალური ნებართვა.

2. თუ წინამდებარე მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული ნებართვა მზღდავს ავტოსაგრანსპორტო საშუალების მიმოსვლას გარეკვეული მარშრუტით, გადაზიდვა უნდა ხორციელდებოდეს ამ მარშრუტით.

IV. საერთო დებულებები

მუხლი 9

1. მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოები ყოველწლიურად გადასცემენ ერთმანეთს გვირგვინის გადაზიდვებზე და მგზავრთა გადაყვანაზე ნებართვის ბლანკების ურთიერთშეთანხმებულ რაოდენობას.

ამ ბლანკებს უნდა ჰქონდეს ნებართვის გამცემი კომპეტენტური ორგანოს ბეჭედი და ხელმოწერა. ერთი მონაწილე მხარე მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე გადაზიდვებისას, დადგენილი კვოტების ფარგლებში, თავისუფლდება ყველა სახელმწიფოებრივი გადასახადებისა და ანაკრებებისაგან.

2. მონაწილე მხარეების კომპეტენციური ორგანოები ერთმანეთს უთანხმებენ ნებართვის ბლანკების გაცვლის წესს.

მუხლი 10

1. ერთი მონაწილე მხარის გადაზიდვებს ეკრძალებათ მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის განხორციელება მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მდებარე ორ პუნქტს შორის, თუ ამაზე არ იქნება გაცემული ნებართვა მეორე მონაწილე მხარის კომპეტენციური ორგანოს მიერ.

2. ერთი მონაწილე მხარის გადაზიდვებს ეკრძალებათ მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის განხორციელება მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიიდან მესამე ქვეყანაში, თუ ამაზე არ იქნება გაცემული სპეციალური ნებართვა მეორე მონაწილე მხარის კომპეტენციური ორგანოს მიერ.

მუხლი 11

საერთაშორისო გადაზიდვების განხორციელებელ ავტოსატრანსპორტო საშუალებას უნდა გააჩნდეს თავისი ქვეყნის ეროვნული სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშნები.

მუხლი 12

ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ტვირთის გადაზიდვები ხორციელდება ბედნადებით, რომელთა ფორმა უნდა შეესაბამებოდეს საყოველთაოდ მიღებულ საერთაშორისო ნიმუშებს.

მუხლი 13

1. ავტობუსისა და სატვირთო ავტომობილის მძღოლს უნდა გააჩნდეს ეროვნული ან საერთაშორისო მართვის მოწმობები და ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ეროვნული სარეგისტრაციო დოკუმენტები.

2. ეროვნული ან საერთაშორისო მართვის მოწმობები უნდა შეესაბამებოდეს საგზაო ნიმუშების შესახებ საერთაშორისო კონვენციით დადგენილ ნიმუშებს.

მუხლი 14

წინამდებარე შეთანხმების შესრულებიდან გამომდინარე ანგარიშსწორებები და გადახდები იწარმოება გადახდის დღეს მონაწილე მხარეებს შორის მოქმედი ანგარიშსწორებებისა და ფულადი გადასახადების შესახებ შეთანხმებების შესაბამისად.

მუხლი 15

გადაზიდვები, წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, ხორციელდება გადაზიდვების შემსრულებელი ყოველი ავტოსატრანსპორტო საშუალების სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინასწარი აუცილებელი დამტკიცების პირობით.

მუხლი 16

სასაზღვრო, საბაჟო და სანიტარული კონტროლისადმი გამოყენებული იქნება იმ საერთაშორისო შეთანხმებების დებულებები, რომელთა მონაწილე არის ორივე მონაწილე მხარე, ხოლო ამ შეთანხმებით დაურეგულირებელი საკითხების

გადაწყვეტის დროს გამოყენებული იქნება თითოეული მონაწილე მხარის შიდა კანონმდებლობები.

მუხლი 17

მძიმე ავადმყოფების გადაყვანების, მგზავრების ავტობუსით რეგულარული გადაყვანების, ასევე ცხოველებისა და მალფუჭებადი გვირთის გადაზიდვის დროს სასაზღვრო, საბაჟო და სანიტარული კონტროლი განხორციელდება რიგგარეშე.

მუხლი 18

1. წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე გადაზიდვების შესრულებისას ორივე მონაწილე მხარე თავისუფლდება საბაჟო მოსაკრებლისა და ნებართვებისაგან შემდეგზე:

ა) საწვავი, რომელიც მოთავსებულია ყველა მოდელის ავტოსაგრანსპორტო საშუალებების გათვალისწინებულ საწვავ ავზებში და რომელიც ძრავის კვების სისტემასთან კონსტრუქციულად და გექნოლოგიურად არის დაკავშირებული;

ბ) გადაზიდვების დროს გამოყენებისათვის გამიზნული საპოხი მასალები, რომლებიც მისი შესვლისათვის მდებარეობენ ავტოსაგრანსპორტო საშუალებაზე;

გ) იმ დაზიანებული ავტოსაგრანსპორტო საშუალების რემონტისათვის გამიზნული სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ასრულებენ საერთაშორისო გადაზიდვებს.

2. გამოუყენებელი სათადარიგო ნაწილები ექვემდებარებიან უკან გაგანას, ხოლო შეცვლილი სათადარიგო ნაწილები ან გაგანილ უნდა იქნან ქვეყნიდან, ან ჩაბარებულნი შესაბამისი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე დადგენილი წესით.

მუხლი 19

ერთი მონაწილე მხარის გადამზიდვის მიერ მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე წინამდებარე შეთანხმების დებულებების დარღვევის შემთხვევაში, იმ მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანო, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა დარღვევა, ამის შესახებ აცხობინებს მეორე მონაწილე მხარის კომპეტენტურ ორგანოს, რომელმაც შეთანხმების შესრულების უზრუნველსაყოფად უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები.

გადამზიდვის ქვეყნის კომპეტენტური ორგანო აცხობინებს მეორე ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს მიღებული ზომების შესახებ.

მუხლი 20

მონაწილე მხარეები მოაგვარებენ ყველა სადავო საკითხებს, რომელიც შეიძლება წამოიჭრას წინამდებარე შეთანხმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების გზით.

მუხლი 21

წინამდებარე შეთანხმება შედის ძალაში მისი ხელმოწერის დღიდან.

წინამდებარე შეთანხმება დადებულია განუსაზღვრელი ვადით და იმოქმედებს ერთი მონაწილე მხარის მიერ მეორე მონაწილე მხარისაგან მისი მოქმედების შეწყვეტის შესახებ სურვილის მიღების დღიდან 90 დღის განმავლობაში.

შესრულებულია ქ. კიევიში 1993 წლის 13 აპრილს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და უკრაინულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს აქვს თანაბარი ძალა .

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის სახელით

უკრაინის
მთავრობის სახელით